16/09/2026

# პატრიარქის მიმართვა მზექალა შანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს



ქალბატონი მზექალა შანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს

გულითადად მივესალმები აკადემიკოს მზექალა შანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ღვაწლმოსილი მეცნიერის იუბილე აღინიშნება სწორედ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამართული საერთაშორისო სამეცნიერო შეკრებით, რომელიც აერთიანებს ქართველ და უცხოელ მკვლევრებს და ეძღვნება იმ სფეროებს, რომელთა განვითარებაშიც უმნიშვნელოვანესია ქალბატონი მზექალას წვლილი.

მისი საუკუნოვანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა არის სიმბოლო ქართული ენისა და სამშობლოს სულიერ-კულტურული საგანძურის ერთგული მსახურებისა. მსოფლიო მნიშვნელობისაა მისი სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობა.

ჩვენი ერისა და ეკლესიისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ამაგდარი მეცნიერის

კვლევები, რომლებიც ფსალმუნთა ძველ ქართულ თარგმანებს, დავით აღმაშენებლის მემატიანის ტექსტსა და წმინდა წერილის ძველი ქართული რედაქციების კვლევა-გამოცემას ეძღვნება. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი კავშირი გელათის მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლის სამეცნიერო სივრცეში ქალბატონმა მზექალამ მრავალი ნაშრომი და სტატია შექმნა, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით იგი დღემდე ღირსეულად ემსახურება აკადემიის მდიდარი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიციის განვითარებას.

საგულისხმოა ისიც, რომ დღევანდელი კონფერენციის პროგრამაში ადგილი ეთმობა ფსალმუნთა ტექსტოლოგიურ კვლევებს, გამოცემის საკითხებსა და ძველი ტექსტების შესწავლას. ეს შეხვედრა არა მხოლოდ პატივს მიაგებს ძვირფასი მეცნიერის განუზომელ ღვაწლს, არამედ ერთგვარად აგრძელებს მის სამეცნიერო გზასაც.

ვულოცავთ მრავალი თაობის აღმზრდელსა და სახელოვან მეცნიერს – ქალბატონ მზექალა შანიძეს – საიუბილეო თარიღს და მადლობას ვუხდით იმ „კეთილი ღვაწლის მოღვაწებისთვის“ (II ტიმ. 4, 7), ეროვნულ საუნჯედ რომ ექცა ჩვენს ქვეყანას.

მადლიერებით მივესალმებით და ვლოცავთ გელათის მეცნიერებათა აკადემიის თითოეულ წევრს, კონფერენციის ორგანიზატორებს, ყველა მონაწილესა და სტუმარს, რომელთა სამეცნიერო სიტყვა და ნაყოფიერი მუშაობა ღირსეულ პატივს მიაგებს იუბილარის მრავალწლიან სამეცნიერო მემკვიდრეობას.

უფალმა დალოცოს ქალბატონი მზექალა და მიმადლოს მას ჯანმრთელობა, მხნეობა და ძალა, რათა კვლავაც დაუღალავად იღვაწოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

შიო III

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (+995 32) 2 99 03 78
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com

OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel: (+995 32) 2 99 03 78
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

## ქალბატონი მზექალა შანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს

გულითადად მივესალმები აკადემიკოს მზექალა შანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ღვაწლმოსილი მეცნიერის იუბილე აღინიშნება სწორედ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამართული საერთაშორისო სამეცნიერო შეკრებით, რომელიც აერთიანებს ქართველ და უცხოელ მკვლევრებს და ეძღვნება ამ სფეროებს, რომელთა განვითარებაშიც უმნიშვნელოვანესია ქალბატონი მზექალას წვლილი.

მისი საუკუნოვანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა არის სანიმუშო ქართული ენისა და სამშობლოს სულიერ-კულტურული საგანძურის ერთგული მსახურებისა. მართლაც შთამბეჭდავია მისი სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობა.

ჩვენი ერისა და ეკლესიისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ამაგდარი მეცნიერის კვლევები, რომლებიც ეძღვნება ძველ ქართულ თარგმანებს,

[illegible] [illegible] მუშაობის ტექსტის და წმინდა წერილის ძველი ქართული რედაქციების კვლევა-გამოცემის ეძღვნება. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი კავშირი გელათის მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლის სამეცნიერო საბჭოში ქალბატონმა მზექალამ მრავალი ნაშრომი და სტატია შექმნა, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით იგი დღემდე ღირსეულად ემსახურება აკადემიის მაღალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიციის განვითარებას.

საგულისხმოა ისიც, რომ დღევანდელი კონფერენციის პროგრამაში ადგილი ეთმობა ფსალმუნთა ტექსტოლოგიურ კვლევებს, გამოცემის საკითხებსა და ძველი ტექსტების შესწავლას. ეს შეხვედრა არა მხოლოდ პატივს მიაგებს ძვირფასი მეცნიერის განუზომელ ღვაწლს, არამედ ერთგვარად აგრძელებს მის სამეცნიერო გზასაც.

ვულოცავთ მრავალი თაობის აღმზრდელსა და სახელოვან მეცნიერს — ქალბატონ მზექალა შანიძეს — საიუბილეო თარიღს და მადლობას ვუხდით იმ „კეთილი ღვაწლის მოღვაწეობისთვის" (II ტიმ. 4, 7), რომელიც საუნჯედ რომ ექნა ჩვენს ქვეყანას.

მადლიერებით მივესალმებით და ვულოცავთ გელათის მეცნიერებათა აკადემიის თითოეულ წევრს, კონფერენციის ორგანიზატორებს, ყველა მონაწილესა და სტუმარს, რომელთა სამეცნიერო სიტყვა და ნაყოფიერი მუშაობა

ღირსეული პატივს მიაგებს იუბილარის მრავალწლიან სამეცნიერო მოღვაწეობას.

უფალმა დალოცოს ქალბატონი მზექალა და მიმადლოს მას ჯანმრთელობა, მხნეობა და ძალა, რათა კვლავაც დაუღალავად იღვაწოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

15 სექტემბერი, 2026 წელი

sazu.ge